

1. ხედვა: *რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?*

საქართველოს მოქალაქეთა მტკიცე ნებაა, განავითარონ თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება, განამტკიცონ კანონის უზენაესობა და ყოველი მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობაზე დაფუძნებული, გამჭვირვალე, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემა, რომელიც ყველა მოქალაქისათვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების, გაერთიანების შექმნის და მასში მონაწილეობის უფლების გარანტიაა. ასეთი პოლიტიკური სისტემა ქვეყნის განვითარების უმთავრესი წინაპირობაა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში განხორციელებული სისტემური დემოკრატიული რეფორმების შედეგად, საქართველოში შესაძლებელი გახდა ხელისუფლებაში პოლიტიკურ ძალთა მშვიდობიანი მონაცვლეობა. ამ თვალსაზრისით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და გამტკიცების გზაზე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამოცანაა, ქვეყანამ შეინარჩუნოს ეს წარმატება და ძალაუფლების დემოკრატიული განახლების პროცესი შეუქცევადი გახადოს.

საპარლამენტო არჩევნების შემდგომმა წელიწადმა აჩვენა, რომ მთელ რიგ სფეროებში მოხდა რეფორმების ტემპის შენელება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი გადაიდგა ნაბიჯი უკან. დღეს უკვე აშკარაა, რომ მთავრობა ვერ ართმევს თავს ისეთ ამოცანებს, როგორცაა ეკონომიკის ზრდის ტემპის შენარჩუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და, როგორც შედეგი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; კრიმინალთან ბრძოლა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება; ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე ადექვატური რეაგირება.

ასეთ რეალობაში საქართველოს პრეზიდენტის ამოცანაა, იღვწოდეს საგარეო კურსის უცვლელობისა და საქართველოს მოსახლეობის ევრო-ატლანტიკური არჩევანის განხორციელებისთვის; ამავე დროს პრეზიდენტმა უნდა აკონტროლოს მთავრობა, რათა მთავრობამ და საპარლამენტო უმრავლესობამ იზრუნოს მოსახლეობის პრობლემების მოგვარებასა და ამით თავისივე საარჩევნო დაპირებების შესრულებაზე.

2. განათლება: *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

განათლებისა და მეცნიერების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ღირსეული მომავლის უზრუნველყოფა, თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრებულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. მწყობრი და გამართული, ინოვაციასა და ტექნოლოგიურ სრულყოფაზე ორიენტირებული განათლების სისტემა მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილის შექმნის და შესაბამისად ქვეყანაში ცხოვრების დონის გაუმჯობესების მთავარი წინაპირობაა.

აუცილებელია, სასკოლო ინფრესტრუქტურის შემდგომი განახლება და ყველა სკოლის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვა და საჭირო რესურსებით მომარაგება.

სასკოლო განათლების მართვის დეცენტრალიზაციის პირობებში სახელმწიფო განსაზღვრავს ეროვნულ სასწავლო გეგმას და ახორციელებს განათლების ხარისხის კონტროლს, ხოლო უშუალოდ სკოლის მართვა, ბიუჯეტის განკარგვა, საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი პედაგოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომების სრულყოფა სკოლის თვითმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება.

როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლების დონეზე უნდა შენარჩუნდეს ერთ მოსწავლეზე/სტუდენტზე გამოყოფილი სასწავლო გრანტის მოდელი, ხოლო გრანტის ოდენობა გაიზარდოს. ეს სისტემას საშუალებას მისცემს გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა ანაზრაურება და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სხვა ხარჯები დაუახლოვოს საერთაშორისო სტანდარტებს.

განათლების სფეროში ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს განხორციელებული რეფორმების მომდევნო ეტაპი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საშუალო სკოლის დამამთავრებელი გამოცდების ინტეგრაცია.

უმაღლესი განათლების მიმართულებით აუცილებელია უნივერსიტეტების სრული აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიისაკენ შემდგომი სვლა.

პრიორიტეტულია ტექნოლოგიების სფეროში განათლებისა და განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერა, რისი შესანიშნავი მაგალითი იყო ბათუმის ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი. ეს და მსგავსი პროექტები გაგრძელებულ უნდა იქნეს სახელმწიფოსა და კერძო ინიციატივების მხარდაჭერით. ასევე უნდა გაგრძელდეს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე ჩვენი სტუდენტების სწავლის დაფინანსება.

პროფესიული განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს ადგილობრივი და გლობალური ბაზრის მოთხოვნებს, უნდა იყოს მაქსიმალურად მრავალფეროვანი და ყალიბდებოდეს ბიზნესთან მჭიდრო კოოპერაციის გზით.

საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მომავალი თაობებისათვის გაცნობა საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია, მათი გარდაქმნა თანამედროვე, მიმზიდველ, მრავალფეროვან სივრცეებად, როგორც განათლების მიღების, ასევე ინტელექტუალური დასვენებისთვის.

3. გადასახადები: *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენდა საგადასახადო სისტემის კონსოლიდაცია, გამარტივება და საპროცენტო განაკვეთების კლება. მოხერხდა 21-დან 6 გადასახადზე დასვლა. უნდა აუცილებლად გაგრძელდეს გადასახადთა,

განსაკუთრებით საშემოსავლო გადასახადის კლება, რაც სამუშაო ადგილების ზრდის საწინდარია.

4. ეკონომიკა: როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?

კეთილდღეობისკენ სწრაფვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და მისი რეალიზაცია მხოლოდ თავისუფალ გარემოშია შესაძლებელი. თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, უნდა ჩამოაყალიბდეს ქვეყნის მდგრადი განვითარების ისეთი მოდელი, რომელიც ეფუძნება თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას.

ამ მოდელის პრინციპებია მცირე მთავრობა, ფისკალური დისციპლინა, პასუხისმგებლობიანი მაკროეკონომიკური და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკა, დაბალი გადასახადები, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, მიზნობრივი სოციალური პროგრამების დანერგვით. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ყოველივე ამის შედეგად - მეტი კეთილდღეობის, განვითარებისა და სოციალური დაცულობის მოტანა საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.

აცნობიერებს რა იმ როლს, რომელიც საქართველოს ენიჭება კასპის ზღვისა და შუა აზიის რეგიონებიდან დანარჩენი მსოფლიოსთვის ენერგორესურსების ალტერნატიული გზებით მიწოდების პროცესში, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ეკონომიკის ერთერთ ქვაკუთხედად მათი ეფექტიანი ფუნქციონირება მიაჩნია.

საქართველოსთვის ასევე პრიორიტეტულია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის შენარჩუნება. საქართველო უნდა გახდეს ელექტროენერჯის მსხვილი რეგიონული ექსპორტიორი, რისთვისაც, ენერჯის გამომუშავების ზრდის გარდა, აუცილებელია ქვეყნების დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობაც.

მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაც. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი ხელს შეუწყობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოებას და ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებას. ანაკლიის ყურეში ლაზიკის პორტის აშენება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას ახალ სიმაღლეზე აიყვანს.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აზრით, ევროკავშირთან დაახლოება და ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნა მკვეთრ სტიმულს მისცემს სამუშაო ადგილების შექმნის პროცესს. ამიტომ, უნდა დაჩქარდეს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან და სათანადო მოლაპარაკებები აშშ-სთან.

5. დასაქმება: *თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?*

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ესწრაფვის, საქართველოში შეიქმნას მოსახლეობისთვის ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის წინაპირობა. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს დასაქმების ზრდა და ამ მიზნების მისაღწევად კონკურენტული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება. ეკონომიკისა და მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია კვალიფიციური მუშახელის მომზადების ხელშეწყობა.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესის სტიმულირების მიზნით, აუცილებელია მოხდეს გადასახადების შემცირება ისე, როგორც ეს იყო დაგეგმილი საგადასახადო კოდექსში 2012 წლის დეკემბერში მიღებულ ცვლილებებამდე და მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს შრომის ბაზრის თავისუფლება. დაბალი გადასახადები ნიშნავს მეტ ინვესტიციებს, მეტ ეკონომიკურ აქტივობას, მეტ სამუშაო ადგილებსა და დაბალ ფასებს.

სამუშაო ადგილებს ქმნის ბიზნესი. ამიტომ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აზრით, დაცულობისა და სტაბილურობის განცდა კერძო სექტორში მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშეწყობისთვის. შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს 5 წლიანი მორატორიუმი ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ გარემოზე; საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს კანონი ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის ამნისტიისა და დაფარული გადასახადების ლეგალიზაციის შესახებ; მოხდეს ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის დეკრიმინალიზაცია; აიკრძალოს სასამართლოს ნებართვის გარეშე კერძო მფლობელობაში არსებული კომპანიების შემოწმება სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ; სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში უნდა დაემატოს ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ინფორმაციის პარლამენტისთვის წარდგენის ვალდებულება.

მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ადგილები იქმნებოდეს არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები ამოქმედდეს რაიონულ ცენტრებში. ეს გაზრდის მოთხოვნას სოფლის მეურნეობის ხარისხიან პროდუქციაზე, რაც, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობაში ახალი კაპიტალდაბანდებების საფუძველი უნდა გახდეს.

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალდეს მისი ხარისხი?*

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის ამოცანა უნდა იყოს სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქისათვის თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.

პაციენტის უფლებების დაცვასთან ერთად, პრიორიტეტი უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის უფლებებიც, ღირსეულ პირობებში მუშაობა და სამართლიანი ანაზღაურება.

მაღალი ხარისხის და ეფექტური სამედიცინო მომსახურების გარანტია უპირველეს ყოვლისა, კვალიფიციური პერსონალია, რისთვისაც საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლებასთან ერთად, პრიორიტეტულია რეზიდენტურისა და პროფესიული განვითარების სისტემის მოდერნიზება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ უნდა გაგრძელდეს სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა ყველა რეგიონში მაღალი სტანდარტითა და ეფექტურად შეძლონ მკურნალობა. ამიტომ აუცილებელია სადაზღვევო სისტემის მოდერნიზება, ამ სფეროში ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრება, მოქალაქეებისათვის კერძო თუ სახელმწიფო სადაზღვევო სქემების გაუმჯობესება.

აუცილებელია, სადაზღვევო პაკეტი მოიცავდეს მედიკამენტების გაფართოებულ ჩამონათვალს, რაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო მნიშვნელოვანი შეღავათებით ისარგებლებენ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები.

ფარმაცევტულ სექტორში საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს კონკურენციას, რაც შეამცირებს ფასებს და უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ხარისხიანი და ეფექტური მედიკამენტების მიწოდებას.

პირველად ჯანდაცვა, სოფლის და ოჯახის ექიმის ინსტიტუტი მეტად უნდა იყოს მხარდაჭერილი ფინანსურად და სადაზღვევო სქემებში ფართო ჩართულობის გზით. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტულობა, ძალისხმევა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ორსულთა მეთვალყურეობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების გაფართოება, რაც გააუმჯობესებს დემოგრაფიულ მაჩვენებლებს და უფრო რეალისტურს გახდის ათასწლეულის მიზნების მიღწევას საქართველოში.

7. სოციალური უსაფრთხოება: რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?

საქართველოს სოციალურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სიღარიბის დაძლევის, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აზრით, ამისათვის აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნისთვის უკეთესი გარემოს შექმნა, ასევე სოციალური დაცვის სისტემის იმგვარი განვითარება, რომ იგი კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახების მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფაზე.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ გამოცხადებული 1000-ლარიანი ვაუჩერის დარიგებასთან დაკავშირებული ხარჯი.

ვაუჩერი, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, შესაძლოა გახდეს ეფექტური სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტიც - იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო ბიუროკრატია ერთ თარგზე მოჭრას ყველა ოჯახის საჭიროებები, სახელმწიფო 1000-ლარიანი ვაუჩერის გაცემის გზით თავად ოჯახს ანდობს იმ გადაწყვეტილების მიღებას, თუ რაში დახარჯოს ეს თანხა.

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?

თანამედროვე საზოგადოების განვითარება და კეთილდღეობა შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ თვითმმართველობის ინსტიტუტების მაქსიმალურად განვითარების და ამოქმედების გზით. საარჩევნო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მრავალფეროვან წარმომადგენლობას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო სისტემის მაქსიმალურ დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივ თვითმმართველობებზე მეტი პასუხისმგებლობის გადატანას. თვითმმართველობა, როგორც ინსტრუმენტი უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ სისტემა და მისი ცალკეული ელემენტები დაცულები იქნებიან ამა თუ იმ არჩევნების შედეგად მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებისგან.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აქტიურად ჩაერთვება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის მოწყობის რეფორმაში, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ინსტიტუტების გაძლიერებას და მათი, როგორც სახელმწიფო მართვის სისტემის რეალური ფუნდამენტის განვითარებას.

ეტაპობრივად უნდა მოხდეს ცენტრალური და რეგიონალური ორგანოების - სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა და ქვედა დონეზე დელეგირება. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ დონეზე მმართველობის ფორმის განსაზღვრას და არჩევითობის პრინციპის დამკვიდრებას.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აზრით, უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ფისკალური სისტემის დეცენტრალიზაციისთვის. ფისკალური სისტემის დეცენტრალიზაცია გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გარკვეული ფისკალური კომპეტენციების გადაცემას. ასეთი სისტემის ჩამოყალიბება გააძლიერებს ადგილობრივ თვითმმართველობებს, აღჭურვავს მათ მეტი პასუხისმგებლობით და შექმნის კონკურენტულ გარემოს სხვადასხვა ფისკალურ სისტემებს შორის.

მსგავსი დეცენტრალიზაციის შემდეგ, მნიშვნელოვანია ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა მიიღონ იმდენი საგადასახადო შემოსავლები, გადასახადების შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, რამდენიც აუცილებელი იქნება მათთვის გადაცემული

კომპეტენციების ეფექტურად შესასრულებლად. იმავდროულად, შენარჩუნებული უნდა იყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და არ უნდა მოხდეს ქვეყნის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ისეთი შემცირება, რომ პრობლემები შეიქმნას ცენტრალური ხელისუფლების მიერ საკუთარი კომპეტენციების განხორციელების პროცესში.

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

დეოკუპაციის წარმატებით განსახორციელებლად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტ აქტიურობას რუსეთის ფედერაციაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რათა მან აიღოს საქართველოს მიმართ ძალის გამოყენებლობის ვალდებულება, დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები, მათ შორის, სუვერენული ქვეყნის თანხმობის გარეშე მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგების დაუშვებლობის პრინციპი, და შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულება.

დეოკუპაციის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საერთაშორისო პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებში უკვე დამკვიდრებული ტერმინის - „ოკუპაცია“ - შენარჩუნება; საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება და ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდისა და ეთნიკურ ნიადაგზე დევნის ფაქტების აღიარება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ საქართველო ყველა პოლიტიკური, სამართლებრივი და მშვიდობიანი საშუალებით წინ უნდა აღუდგეს რუსეთის ფედერაციის ქმედებებს, რომლებიც მიმართული იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის და ქონებრივი მდგომარეობის უკანონოდ შეცვლისკენ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება, მათი ქონებრივი უფლებების აღდგენა და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვით, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით და სხვა იმგვარი პირობების შექმნით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, ისარგებლონ უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების უფლებით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოწოდებულია, საქართველომ შექმნას ისეთი ფორმატები და წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებას ქვეყნის დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებთან, ოკუპაციის შედეგად გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული საქართველოს მოქალაქეების ურთიერთობათა გაღრმავებას და ამ მოსახლეობის ეტაპობრივ ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში. ამ მიზნით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შემუშავდა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“.

10. უმცირესობათა უფლებები: *რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუშვებლად მიაჩნია დისკრიმინაცია, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა ნებისმიერ ნიადაგზე. რჩება რა ერთგული საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული შეხედულებებისა საოჯახო ურთიერთობების არსის შესახებ, იგი გმობს ძალადობისა და ქსენოფობიის გამოვლენას სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

არ მიაჩნია რა სწორად ქვოტირების და ე.წ. გენდერული მეინსტრიმინგის ყველა ფორმის გადმონერგვის დაჩქარება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიესალმება პოლიტიკაში ქალთა შემდგომ გააქტიურებას და ამ პროცესის წახალისებას, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციების პარტიების ქალთა ორგანიზაციების ფორმირებას, ისე პარტიულ სიებში ქალთა წარმომადგენლობის წახალისებას, მათ შორის ფინანსური მოტივაციებით.

12. უმცირესობათა უფლებები: *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს თავისი მოქალაქეების ინტერსების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ამისათვის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ისწრაფვის ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც ეფუძნება კანონის წინაშე თანასწორობას, შემწყნარებლობას, სამართლიანობას და პლურალიზმს. მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქართველი ერის წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აზრით, აუცილებელია კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება, სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის ინტეგრაციისა და ქვეყნის განვითარებაში

ჩართვისათვის ხელშეწყობა. უნდა შეიქმნას პირობები ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებისათვის.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების გამყარებას, დიასპორების წარმომადგენლებისათვის მშობლიური ენის სწავლებისა და მათ მიერ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობას.

იმავდროულად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის უმთავრესია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პრინციპი. ამის გარეშე შეუძლებელია ადამიანის უფლებების პატივისცემა და პროგრესი. სახელმწიფო უნდა იცავდეს ყველა დენომინაციის კანონიერ უფლებებს და წინ უნდა აღუდგეს ქსენოფობიის ნებისმიერ გამოვლინებას.

სეკულარიზმის დაცვა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძირითადი პრიორიტეტია. იგი იღვწის, რათა ხელი შეეწყოს რელიგიისა და პოლიტიკის გამიჯვნას, დაცული იყოს კონსტიტუციური დებულებები, მათ შორის, საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება მიაკუთვნოს თავი ნებისმიერ რელიგიას, აღმსარებლობასა თუ კონფესიას.

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

ეკოლოგიური პრობლემები გადაჭრაზე ზრუნვა ცხოვრების ხარისხზე და მომავალ თაობათა ჯანმრთელობაზე ზრუნვის შემადგენელი ნაწილია. ეკოლოგიური აზროვნება უნდა იყოს ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ხედვებისა და პროექტების შემადგენელი ნაწილი.

საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. აქტიურად უნდა გაგრძელდეს უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობა განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისების კუთხით. ამასთან, ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტად უნდა დარჩეს ჰიდრორესურსების უფრო ეფექტიანი ათვისება, რაც ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია. შესაბამისად, მისი განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კერძოდ, ნატოს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება.

ევროპა რა 2008 წლის პლემბისციტზე საქართველოს მოქალაქეების მიერ მკაფიოდ გამოხატულ უწყვეტ ნებას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ესწრაფვის, რომ საქართველო გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი. ეს ქვეყანას საშუალებას მისცემს, მოახდინოს დემოკრატიის კონსოლიდაცია, ასევე განამტკიცოს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობა და ეროვნული უსაფრთხოება. საქართველო იზიარებს პრინციპს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება, აირჩიოს მომავალი განვითარების გზა და ის ალიანსები, რომელთა წევრობაც სურს.

ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაცია საქართველოს პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ევროკავშირთან ურთიერთობის განვითარება ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ წინსვლას, პოლიტიკური სისტემის და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და უსაფრთხოების განმტკიცებას.

ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირთან თანამშრომლობის ინსტიტუციური ჩარჩოების გაფართოებას. საქართველომ უნდა მიაღწიოს ევროკავშირთან ოთხი თავისუფლებით (ხალხის, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება) სარგებლობის შესაძლებლობას, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მისცემს ბიძგს და შექმნის უკეთეს პირობებს საქართველოს მოქალაქეთათვის.

ამ მიზნით საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ევროკავშირის მხრიდან დღეს არსებული თანამშრომლობის მექანიზმები და ესწრაფოდეს, ევროპული პერსპექტივის დაფიქსირების გზით, მიიღოს დამატებითი ინსტიტუციონალური ჩარჩო და ფორმატები.

ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის სტრატეგიული საგარეო- პოლიტიკური ამოცანაა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აზრით, ნატოს წევრობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარ გარანტიებს შექმნის და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მთლიანად რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებაში.

ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული რეფორმების პროცესი ხელს უწყობს როგორც საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ისე თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კვლავაც მიესალმება, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში, რომელთა ფარგლებში ქართული შენაერთების მიერ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულება არა მხოლოდ ზრდის საქართველოს მნიშვნელობას ტრანსატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განმტკიცებისათვის, არამედ ასევე ამდიდრებს საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო გამოცდილებას.

15. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობას და კავკასიის ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად გადაქცევას. საქართველოს ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს მოსაზღვრე ქვეყნებთან: აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან. მეზობელ სახელმწიფოებთან ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა და საერთო ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას.

საქართველო აღრმავებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობას, რაც ასახულია 2009 წლის იანვარში გაფორმებულ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ქარტიაში. ეს დოკუმენტი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის, დემოკრატიის გაძლიერებისა და კულტურული გაცვლის სფეროებში შესაბამისი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მიღწეული კონკრეტული გადაწყვეტილებების განხორციელების გზით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ რეგიონის ქვეყნებთან, ევროკავშირთან, შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება საქართველოსა და მისი მეზობლებისათვის ზრდის ენერჯის წყაროებისა და ტრანსპორტირების გზების დივერსიფიკაციის შესაძლებლობას. საქართველოს ენერჯეტიკული პოტენციალის გაზრდა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

აუცილებელია გაღრმავდეს ევროპულ სახელმწიფოებთან არსებული ორმხრივი ურთიერთობები, რაც დაეხმარება საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში და მეტ კეთილდღეობას მოუტანს საქართველოს მოქალაქეებს. უნდა გაგრძელდეს თანამშრომლობა აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ოკეანის სახელმწიფოებთან არალიარების პოლიტიკის გაგრძელებისა და ოკუპირებული რეგიონების აღიარების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს რეგიონული ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბებასა და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას, მის კიდევ უფრო აქტიურად ჩართვას საერთაშორისო ენერჯეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში.

იმავდროულად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლის არარსებობა და, ზოგადად, საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონების არსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისათვის. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აზრით, სახელმწიფო ინსტიტუტებმა ამ საკითხებს ჯეროვანი ყურადღება უნდა დაუთმონ.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

თავდაცვის სისტემა სახელმწიფოს ქვაკუთხედაა. სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი, მათი სოციალური დაცულობა და კარიერული ზრდის სტაბილური შესაძლებლობები სახელმწიფოს მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს. შუძლებელია საქართველოს ჰყადეს ნებისმიერ გარე მეტოქესთან გამკლავების შემძლე ჯარი. მაგრამ სავსებით შესაძლებელი და სასურველია ქართულ შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ აგრესორს გადააფაქირებინონ მტრული ქმედებები და შეაკავონ მეტოქე საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევამდე. შესაბამისად, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისკენ მიმართული ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს განათლებისა და წვრთნის სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, მართვისა და კონტროლის გაუმჯობესება, ნატოსთან თავსებადობის გაზრდა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო ახდენს შეიარაღებული ძალების ადაპტირებას ახალ გამოწვევებთან, ოპერატიულ გარემოსა და ამოცანებთან.

ამავე დროს, კიდევ ერთი და არა უკანასკნელი ამოცანა არის შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის განმტკიცება. იგია როგორც სამხედროთა პროფესიონალიზმის, ისე ჯანსაღი სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების გარანტი.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. იგი უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე პირობებში საფრთხეთა ბუნების გაფართოება-ტრანსფორმაციის გააზრებას და ეგრეთ წოდებული თანამშრომლობაზე ორიენტირებული უსაფრთხოების პოლიტიკის ათვისებას. ამ უკანასკნელისათვის, გადამწყვეტია თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში NATO-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან. აქტიური ძალისხევა ეუთოს ფარგლებსა და რეგიონალურ კონტექსტში, გაეროს ფორმატის მაქსიმალური გამოყენება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ საქართველომ უნდა განაგრძოს უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობის ზრდისკენ მიმართული რეფორმები, რომელიც მოახდენს უსაფრთხოების უზრუნველყოფ ინსტიტუტებს შორის უფრო მჭიდრო კოორდინაციას, უზრუნველყოფს სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტების ურთიერთქმედების ხარისხის გაუმჯობესებას და შესაძლებელს გახდის სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში ჩართული ინსტიტუტების შესაბამისი უწყებრივი სტრატეგიების შემუშავებას. ამ პროცესის ქვაკუთხედაა სამხედრო ძალებსა და მთელს უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის მექანიზმთა შემდგომი გაძლიერება.

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: *თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?*

იმპერატიული აკრძალვა პრობლემის გამაღრმავებელია და არა გადამწყვეტი.

19. გადასახადები და კრედიტი: *უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?*

აღნიშნული საკითხი უნდა რეგულირდებოდეს კერძო სამართლის სუბიექტთა შორის ხელშეკრულების დადების თავისუფლებით.

20. მიწის საკუთრება: *როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?*

ადგილებზე გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწის გასხვისება, მათ შორის უცხოელ ინვესტორებზე, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია.